დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო
კომისიის გამოცემა.

3.

რისთვის და როგორ შეუერთდა საქარ-თველო რუსეთს.

ტ ფ ი ლ ი ს ი
ქალაქთა კავშირის სტამბა, პუშკინის ქ. № 3.
1 9 2 0

რისთვის და როგორ შეუერთდა საქართველო რუსეთს.

1. საქართველო რუსეთთან შეერთებამდის.

ათას ცხრაას თვრამეტი წლის ოცდა ექვს მაისს საქართველო საბოლოოთ ჩამოშორდა რუსეთს: საქართველოს საბჭომ ერთხმად მიიღო აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა. იგივე აქტი შემდეგ წელში ერთსულოვნად დაადასტურა სრულიად საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ.

ამ რიგად, საქართველომ გასწყვიტა კავშირი რუსეთთან, რომელსაც ის ას ჩვიდმეტი წლის წინეთ შეუერთდა. საქართველო კვლავ დაადგა დამოუკიდებელი არსებობის გზას და დემოკრატიული აღმშენებლობის საქმეს თავგამოდებით აწარმოებს

დღეს.

რა იყო მიზეზი, რომ საქართველო თავის ნებით დაუკავშირდა რუსეთს?

ყოველი მხრით მტრებით გარშემორტყმულს, საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა აღარ შეეძლო, მით უმეტეს, რომ მას არ ამაგრებდა შინაური ერთობა, მთლიანი და შეთანხმებული მოქმედების საჭიროების შეგნება. თვით უსაშინელეს გაჭირვების დროს, როცა სპარსეთის მფლობელი აღა-

მაჰმად ხანი ტფილისს შემოესია და აოხრებდა, საქართველოს მმართველებს ვერ დაეღწიათ თავი შინაური არეულობისა და შფოთისათვის. ჯერ კიდევ მეხუთმეტე საუკუნეში დაიწყო გაერთიანებული და ძლიერი საქართველოს დანაწილება. მაშინ ოსმალებმა დაიპყრეს მრავალი ქვეყნები, ხელში ჩაიგდეს კონსტანტანობოლი (სტამბოლი), და საქართველოს საუკეთესო ნაწილი ძველი მესხეთი, სამცხე-საათაბაგო ანუ ეხლანდელი ახალციხე-ახალქალაქისა და ბათუმ-არტაანის მხარე თანდათან გადადიოდა ოსმალეთის ხელში. მაშინ საქართველო მოწყდა განათლებულ ევროპას და ოსმალეთ-სპარსეთის სათარეშოთ გადაიქცა. საქართველოს პოლიტიკურ დაუძლურებას ზედ დაერთო მისი ნივთიერი და კულტურული დაქვეითებაც: ძველი მესხეთი საუკეთესო გზა იყო ევროპიელებისათვის ინდოეთში. ამ გზაზე უნდა გაევლო აუარებელ სავაჭრო საქონელს. იქ იყრიდენ თავს ყველა კულტურული ხალხები. მიტომ იყო, რომ მესხეთი ყვაოდა ნივთიერად და სულიერად. უდიდესი პოეტები და მწერლები და საზოგადო მოღვაწენი მესხეთმა მისცა ძველ საქართველოს.

ამ კულტურული ნაწილის დაკარგვას მოჰყვა საქართველოს საზღვრების გაშიშვლება; მესხეთი,

რომელიც გზა იყო ევროპისთვის აზიისაკენ, გახდა ოსმალეთისათვის მთელ საქართველოში სათარე-

შო გზათ. ამან გამოიწვია საქართველოს სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დანაწილება. ამ ნაწილებს შორის დაუსრულებელი მტრობა და ქიშპობა იყო. აღმოსავლეთი საქართველო განიცდიდა სპარსეთისა, ხოლო დასავლეთი საქართველო ოსმალეთის გავლენას.

საქართველო სულ უკან და უკან მიდიოდა. მუდმივმა ომმა გარეშე მტრებთან, შუღლმა და შფოთმა შიგნით, წელში გასტეხა ხალხი. ამავე დროს ბატონ-ყმობის საშინელი და მძიმე უღელიც სულს უხუთავდა ხალხს. ამ გარემოებამ კიდევ უფრო დაასუსტა საქართველო: მეფეს მუდამ ბრძოლა და დავა ჰქონდა ცალკე კუთხის მებატონეებთან, რომელნიც ეურჩებოდენ მას და სახელმწიფოს ანგრევდენ.

ამგვარად მეთვრამეტე საუკუნეში საქართველო მეტის მეტად დასუსტდა.

ამავე დროს ჩრდილოეთით იზრდებოდა და ძლიერდებოდა საქრისტიანო რუსეთი, რომელთანაც საქართველოს კიდევ უფრო ადრე ჰქონდა ურთიერთობა.

იმ დროს, როცა ქართლ-კახეთში მეფობდა ერეკლე მეორე, ხოლო იმერეთში სოლომონ მეორე, რუსეთს განაგებდა დედოფალი ეკატერინე. რუსეთი ენერგიულად მოიწევდა სამხრეთისაკენ და ჩვენს საზღვრებს უახლოვდებოდა. მაგრამ დარიალით

შემოსავალი კარი მაგრად იყო დაცული და რუსეთს ამ გზით შემოსვლა არ შეეძლო. საქართველოში შე-

მოსვლა კი მისთვის აუცილებელი იყო.

2. რუსეთის იმპერიალიზმი.

რუსეთისათვის კავკასიასა და კერძოდ საქართველოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოში შემოსვლით მას გზა ეხსნებოდა სპარსეთ-ინდოეთზე და შავი ზღვა უვარდებოდა ხელში. ამიტომ რუსეთმა პეტრე დიდის დროს გაილაშქრა სპარსეთზე.

რუსეთის დედოფალს ეკატერინე მეორეს განზრახვა ჰქონდა საქართველოსთან დაახლოვების საშვალებით ოსმალეთი დაენაწილებია.

ამავე დროს ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლეს უნდოდა რუსეთის დახმარებით დაეხსნა საქართველო სპარსეთ-ოსმალეთისაგან.

როცა რუსეთ-ოსმალეთის ომი ატყდა, ერეკლემ იმერეთის მეფესთან ერთად რუსეთის მოკავშირედ გამოაცხადა თავი, იმ იმედით რომ ახალციხეს რუსების დახმარებით წაართმევდა ოსმალეთს. რუ--სეთის დედოფალმა ეკატერინემ გამოუგზავნა ერეკლეს მაშველი ჯარი გენერალი ტოტლებენის სარდლობით. მაგრამ ტოტლებენი საეჭვოდ იქცეოდა და ბოლოს სულ მიატოვა ქართველი ჯარი და რუსეთში დაბრუნდა. დედოფალი ეკატერინე ოსმალეთს შეურიგდა და ოსმალეთთან შეკრული ზავით

რუსეთმა აღიარა ოსმალეთის უფროსობა (პროტექტორიატი) იმერეთზე.

ამან აიძულა ერეკლე მეფე ევროპისათვის მიემართა და იქ დახმარება ეთხოვა. აი რას სწერდა ის 1782 წ. ავსტრიის იმპერატორს: სახსარი არა გვაქვს, რომ ევროპიულად გაწვრთნილი ჯარი ვიყოლიოთ, თორემ ჩვენი მტრების სიმრავლე ვერ შეგვაშინებსო. ამიტომ გთხოვ გამომიგზავნო ფული

რამდენიმე პოლკის შესანახად, რომ საშვალება მქონდეს ევროპის სახელმწიფოებს შეძლებისდაგვარად ვემსახუროვო.

მაგრამ იმ დროს ევროპა მეტად დაშორებული იყო ჩვენზე. ევროპასა და საქართველოს შუა ოსმალეთის საბრძანებელი იყო გადაჭიმული. ამის გამო ევროპას საშუალება არ ჰქონდა დახმარებოდა საქართველოს. სამაგიეროთ, იმის შიშმა რომ ევროპა საქართველოში გავლენას მოიპოვებსო, გამოაფხიზლა რუსეთის დედოფალი ეკატერინე II; მან კარგად იცოდა რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს რუსეთისათვის და ამიტომ დააჩქარა მეფე ერეკლესთან ხელშეკრულობის დადება. ამ გზით უნდოდა მას ადვილად გამკლავებოდა ოსმალეთ-სპარსეთს და შემდეგ საქართველოც უდავიდარაბოდ ჩაეგდო ხელში.

3. რა სურდა საქართველოს.

რაკი ევროპასა და საქართველოს შორის ოსმალეთი იყო გაჩხირული, საქართველოს მხოლოდ

რუსეთთან შეეძლო კავშირის დაჭერა. ერეკლეც ხედავდა რომ რუსეთის სურვილი იყო შავ ზღვაზე გაბატონება და სპარსეთ-ინდოეთზე გზის გაკაფვა, რასაც ის საქართველოს დახმარებით ადვილად შესძლებდა. მაგრამ, თუ საქართველო მოისურვებდა სპარსეთ-ოსმალეთთან შეთანხმებას, დიდი ვნების მოტანაც შეეძლო რუსეთისათვის. ირაკლის ანგარიშით რუსეთი საქართველოს საშუალებით აღმოსავლეთისაკენ გზას გაიკაფავდა და სამაგიეროთ მფარველობას გაუწევდა საქართველოს, ხელს შეუწყობდა ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიის დაბრუნებას – მესხეთი დაუბრუნდებოდა ქართლს, ხო-

ლო აჭარა იმერეთს.

ასე შეიყარა ერთად რუსეთის და საქართველოს სურვილები: ორივე მხარეს ხელსაყრელად მიაჩნდა კავშირის დადება და ეს კავშირიც დაიდვა გეორგიევსკში 1783 წელს მკათათვის 24.

1781 წლის ტრაქტატი (ხელშეკრულება).

აღნიშნული წლის მკათათვის 24-ს ციხე-ქალაქ გეორგიევსკში დაიდო ხელშეკრულობა რუსეთის იმპერატორისა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორეს შორის.

„სრულიად რუსეთის იმპერია, ასე იწყება ხელშეკრულება ძველი დროიდან უწევდა მფარველობას და იფარავდა მეზობლების ძალადობისაგან საქართველოს ერთმორწმუნე ხალხს, რომლის

მეფეებიც, სამაგიეროთ, სცნობდენ უმაღლეს ხელმწიფობას და მფარველობას რუსეთის იმპერატორებისას. ამისთვის მისმა უდიდებულესობამ თავისი და მემკვიდრეების სახელით სამეგობრო კავშირი შეჰკრა მის ბრწყინვალებას ქართლ-კახეთის მეფე ირაკლი მეორესთან“.

ეს ხელშეკრულობა, რომელიც რწმუნებულების საშვალებით დაიდო, შემდეგ მიღებულ წესისამებრ დამტკიცებულ იქნა ორივე სახელმწიფოს მეთაურების-მეფეების მიერ, ე. ი. მოხდა მისი ეგრეთ წოდებული რატიფიკაცია, დამტკიცება.

მაშასადამე, საერთაშორისო სამართლით მიღებული წესის თანახმად რუსეთსა და საქართველოს შორის შეიკრა კავშირი, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ საქართველომ მიიღო რუსეთის მფარველობა. ამ მფარველობის, ანუ პროტექტორატის, ძალით საქართველოს ევალებოდა სამუდამოთ ეთქვა უარი სპარსეთის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს ერთგულებაზე. ეს ერთობ დიდი და მძიმე მოვა-

ლეობა იყო საქართველოსათვის, რადგან სპარსეთი
და ოსმალეთი ვერ შეურიგდებოდენ კავკასიაზე რუ-
სეთის გავლენის გავრცელებას და მოხერხებულ
დროს საქართველოს ჯავრს ამოიყრიდენ. ამიტომ
რუსეთიც პირობას სდებდა თავის მხრით, რომ დაი-
ცავდა მეფე ერეკლეს მაშინდელ სამფლობელოს და
მის გაფართოებასაც შეუწყობდა ხელს. ამისთვის კი

საჭირო იყო რუსეთიდან დამხმარე ჯარის გამოგზავ-
ნა. ამის შესახებ ხელშეკრულობაში შეტანილია სა-
განგებო მუხლი, რომელშიაც სიტყვა-სიტყვით შემ-
დეგია ნათქვამი:

„მისი უდიდებულესობა (რუსეთის იმპერატორი)
პირობას სდებს, უკეთუ ომი იქნება, იარაღის შემ-
წეობით, ხოლო ზავის შეკვრის დროს – მოლაპარა-
კებით ყოველივე ზომა მიიღოს, რათა ქართლ-კახე-
თის სამეფოს დაუბრუნდეს ის ადგილები, რომელ-
ნიც მას უხსოვარი დროიდან ეკუთვნოდა“.

საქართველოს გაერთიანება, ძველი ისტორიუ-
ლი საზღვრების აღდგენა – აი რა აზრი ასულდგმუ-
ლებდა მეფე ერეკლეს. ამ მიზნისათვის არ მოერი-
და ის დიდ საფრთხეს – სპარსეთ-ოსმალეთის გადამ-
ტერებას. მაგრამ ერეკლე დარწმუნებული იყო,
რომ ერთმორწმუნე და ძლიერი რუსეთი მას არ
გასწირავდა, მით უმეტეს, რომ საქართველოს-
თან კავშირი თვითონ რუსეთისათვის იყო ხელსაყ-
რელი.

როგორი უნდა დარჩენილიყო საქართველოს
შინაური წყობილება? ხელშეკრულობაში ეს საკით-
ხიც არის გადაჭრილი: შინაური მართველობა სავ-
სებით საქართველოს მეფის ხელში უნდა ყოფილი-
ყო და რუსეთის წარმომადგენელს საქართველოში
ეკრძალებოდა ადგილობრივ საქმეებში ამა თუ იმ
სახით ჩარევა.

1790 წ. საკავშირო ხელშეკრულობა.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან შვიდი წლის შემდეგ, 1790 ქართლ-კახეთის მეფე ირაკლისა ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით იმერეთის მეფესა და გურია-სამეგრელოს მთავრებს შორის დაიდო საკავშირო ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც აღნიშნული პირები თანხმობით უნდა გამოსულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ირაკლის მეთაურობით. ხელშეკრულობის მონაწილენი სთხოვდენ აგრეთვე ირაკლის, რომ მას მოეხერხებინა რუსეთის პროტექტორატის (მფარველობის) გავრცელება მთელ საქართველოზე. 1793 წ. ერეკლემ სთხოვა ეკატერინე მეორეს რუსეთის პროტექტორატის გავრცელება მთლად საქართველოზე.

რუსეთი თითქოს შეუდგა ხელშეკრულობით ნაკისრ მოვალეობის ასრულებას: ჯერ კიდევ ადრე, ტოტლებენის სარდლობით დამხმარე ჯარი მოაშველა ირაკლისა და შემდეგ 1719 წ. ოსმალეთთან შეკრული საზავო პირობით რუსეთმა მოსთხოვა ოსმალეთს საქართველოსათვის თავი დაენებებია.

მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა გარემოებას ჰქონდა ადგილი: რუსეთი არ იტყოდა უარს საქართველოს დახმარებით სპარსეთ-ოსმალეთის დასუსტებაზე, მაგრამ თუ საქმე გაუჭირდებოდა, საქართველოს ადვილად დაუთმობდა საჯიჯგნად გააფთრებულ მტრებს.

ასეც მოხდა: რუსეთთან კავშირისათვის სპარსეთმა შური იძია საქართველოზე და სპარსეთის მფლობელმა აღა-მაჰმად-ხანმა საშინლად ააოხრა ტფი-

ლისი. მხოლოდ ამ აოხრების შემდეგ მოვიდა რუ-
სეთიდან მაშველი ჯარი, რომელმაც საქართველოს
ჯარებთან ერთად აიღო კავკასიის კარი აღმოსავლე-
თიდან – დარუბანდი (დერბენტი).

1798 წელს გარდაიცვალა ოთხმოცდა ხუთი
წლის მოხუცი მებრძოლი მეფე ერეკლე დი გამეფდა
მისი ავათმყოფი შვილი გიორგი XII. დადებული
ხელშეკრულობის ძალით, რუსეთისათვის სამეფო
ნიშნები უნდა გამოეთხოვა ირაკლის მემკვიდრეს მე-
ფე გიორგის. გარდა ამისა ამავე ხელშეკრულობის
ძალით მეფე გიორგიმ მოსთხოვა რუსეთს ტახტზე
დამტკიცება, ნამდვილი მფარველობის გაწევა, ჯა-
რის გამოგზავნა და სხვ. მეფე გიორგი ითხოვდა
სამიათას კაცს და კავკასიაში მყოფი ჯარის უფრო-
სისათვის ბრძანების მიცემას, რომ ის გაჭივრების
დროს მიშველებოდა საქართველოს თავისი შვიდი
ათასი კაცით.

გიორგი მეფის სურვილი დააკმაყოფილეს: მას
მოუვიდა სამეფო გვირგვინი და საქართველოში ერ-
თი პოლკი რუსის ჯარისა შემოვიდა.

მაგრამ ამ დროს რუსეთში თანდათან ძლიერ-
დებოდა ის აზრი, რომ საქართველოს დამოუკიდებ-
ლობა სრულიად მოესპოთ.

– 13 –

რა იტაცებდა რუსეთს? ჩვენი ქვეყნის ბუნებ-
რივი სიმდიდრე და საქართველოს მდებარეობა: სა-
ქართველოს შემწეობით რუსეთი ადვილათ გაუმკლა-
დებოდა სპარსეთს და ადვილათვე მოუგრეხდა კი-
სერს კავკასიის მთიულებს. ამავე დროს საქართვე-
ლოდან ელჩებიც ცდილობდნენ ქართლ-კახეთის უფ-
რო მჭიდროთ დაკავშირებას რუსეთთან. საქართვე-
ლოს ელჩები უცხადებდენ რუსეთს რომ საქართვე-
ლოს სურს რუსეთის ქვეშევრდომობა, რომ საქარ-
თველოს მმართველად უნდა დარჩეს ქართველი

მეფის შვილი რუსეთის იმპერატორის მოადგილის და საქართველოს მეფის ტიტულით და სხვ. ხოლო შინაურ საქმეებში საქართველო თავისუფალი უნდა იყოსო.

ასეთი პირობა რუსეთმა მიიღო; ხოლო გულში გადასწყვიტა საქართველოს სრული შემოერთება: 1800 წ. 22 დეკ. რუსეთის იმპერატორმა პავლემ ხელი მოაწერა საქართველოს შეერთების მანიფესტს, რომელიც უნდა გამოეცხადებიათ გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ.

გიორგი გარდაიცვალა 1800 წლის დეკემბრის 28-ს. ტახტზე უნდა ასულიყო შვილი მისი დავითი. მაგრამ რუსეთის გენერალმა ლაზარევმა დავითს ამისი ნება არ მისცა და დავითიც მხოლოდ რეგენტის სახელწოდებით შეუდგა ქვეყნის მართვას.

1801 წ. საქართველოში მოვიდა – 1800 წ. დეკემბ-

რის 22-ს დაწერილი მანიფესტი. ის წაიკითხეს სიონის ტაძარში თებერვლის 16. დამოუკიდებლობის მოსპობამ გაკვირვება და მღელვარება გამოიწვია. ელჩებმა ისევ მიაშურეს რუსეთს, მაგრამ მანიფესტის ხელის მომწერი იმპერატორი პავლე ცოცხალი აღარ იყო. 1801 წ. მარტის 12 რუსეთის ტახტზე ავიდა იმპერატორი ალექსანდრე პირველი. ამ უკანასკნელმა 1801 წ. 12 ენკენისთვეს გამოსცა ახალი მანიფესტი, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო აღიარებულ იქნა რუსეთის გუბერნიად, მთავარმართებლად დაინიშნა რუსი გენერალი კნორინგი, ხოლო სამოქალაქო საქმეების გამგეთ კოვალენსკი.

ასე შეასრულა რუსეთის მთავრობამ დადებული ხელშეკრულება: სამეგობროთ გაწვდილი ხელის საპასუხოთ რუსეთმა იუდას ამბორით უპასუხა პატარა ერთმორწმუნე ერს და მთელი ას ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ავიწროებდა საქართველოს თავისუფ-

ლებას.

1819 წ. რუსეთმა დაიპყრო აგრეთვე იმერეთი და თანდათანობით მთელი საქართველოს ბატონი გახდა. მაგრამ საქართველო უდრტვინველად არ შეხვედრია დამონებას.

ჯერ კიდევ რუსეთის შემოსვლის პირველ წლებში აუჯანყდა ახალ მმართველობას მთიულეთი ერეკლე მეფის შვილის ალექსანდრეს მეთაურობით; მალე აჯანყდა რუსის ჯარისა და მებატონეე-

ბის ჩაგვრისგან აშფოთებული კახეთიც და ბოლოს, რუსეთის შემოსვლის დღიდან ოცდა ათი წლის შემდეგ, საქართველოს თავად-აზნაურობის საუკეთესო წარმომადგენლები ამაოდ შეეცადნენ მოეწყოთ რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულობა ტფილისში.

ამის შემდეგ საქართველო შეურიგდა რუსეთის ბატონობასა და მთელი რუსეთის ხალხთან ერთად ას ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა სახელმწიფოს: იხდიდა გადასახადს, აგზავნიდა უზარმაზარი რუსეთის დასაცავათ თავის შვილებს ჯარში, იტანდა მრავალ დამცირებას.

ამ ორი წლის წინეთ, 1918 წლის მაისის 26-ს საქართველომ გასწყვიტა კავშირი რუსეთთან; ჩამოშორდა მას და თავისი თავი თავისუფალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა.

საშინელი ომისაგან დაუძლურებული რუსეთის გაბოლშევიკებულმა ჯარებმა აღარ იკისრეს ჩვენი ქვეყნის დაცვა ოსმალთა შემოსევისაგან. პირიქით, რუსის ჯარები ტფილისისაკენ მოიწევდენ, ჩვენს დარბევას ფიქრობდენ. ჩვენ თვითონ უნდა გვეკისრა ჩვენი თავის პატრონობა; თვითონ უნდა შეგვექმნა ჯარი, სახელმწიფო, ყველაფერი, რაც წესიერი ცხოვრების მოწყობისათვის აუცილებლათ საჭიროა.

საქართველო გაბედულათ დაადგა ამ გზას. ორი

წელიწადია რაც ის დამოუკიდებლათ, მხოლოდ თავისი ძალღონით ცხოვრობს. ამ ხნის განმავლობაში

თითქმის სულყველა ჩვენი მეზობლები დაუძლურდენ ომისა და შინაური უწესრიგობის გამო. ჩვენი ქვეყანა კი, დღეს გაერთიანებული თავისუფალი საქართველო, თითით საჩვენებელი გახდა თავისი სიმტკიცით და წესიერებით.

თუ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა ამ ას ცხრამეტი წლის წინეთ რუსეთის მფარველობას თხოულობდა, ამ ორი წლის წინეთ ქვეყნის კეთილდღეობა მოითხოვდა ჩვენს გამოყოფას დასანგრევათ გამზადებული რუსეთისაგან, ჩვენი დამოუკიდებლობის, თავისუფლების გამოცხადებას.